

K 7780  
1



ხოსე მარტი

კუსა ყვავილებაში

საქართველოს კკ ცკ-ის გამოცემობა  
თბილისი — 1974



ეროვნული

ბიბლიოთეკა



კუბელი ხალბის ეროვნულ-გამათავისუფლებელი და მაცხოველი ბრძოლის მატიანეში თავფურულებულება ეთმობა რევოლუციონერისა და დემოკრატის, სახალხო ბელადისა და თავგანწირული მებრძოლის, კუბის თავისუფლებისათვის ბრძოლაში გმირულად დაცემული დიდი პოეტის — ხოსე მარგის სახელს. კუბელი ხალხის დიდი გამათავისუფლებელი ომი (1894-1898) ხოსე მარგის სახელითაა განათებული.

თავისუფლებისათვის ბრძოლის პათოსი გამჭვალავს ხოსე მარგის მთელ ცხოვრებასა და შემოქმედებას. „თავისუფლება... ეს გარღავთ მოვალეობა ბრძოლისა სხვის გასათავისუფლებლად“. ამბობს ხოსე მარგი.

ლ. ი. ბრეჟნევის უკანასკნელ ხანს კუბაში მეგობრული ვიზიგით ცოვნისა და ხოსე მარგის სახელობის ორდენით მისი დაჯილდობის შემდეგ განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი კუბის ამ დიდი პოეტის შემოქმედებისადმი. ვფიქრობთ, ხოსე მარგის პოეტურნაწარმოებთა წინამდებარე თარგმანები ნაწილობრივ მაინც დააკმაყოფილებს ამ ინტერესს.



# බෝසො මාරුණිය

## ප්‍රේරා ජ්‍යෙෂ්ඨ ප්‍රාග්ධනය

දින දින  
දින දින

තාරිය තාරිය  
ඩූරේය ඩූරේය



සාහාරතයෙහි නිය ප්‍ර-ඩී තාමෝලෝජික් ත්‍රිඛිලිය  
ත්‍රිඛිලිය — 1974

И (куб)

86—1

δ 338




© საქ. კვ-ის გამომცემლობა, 1974. (თარგმანი)

Типография изд-ва ЦК КП Грузии.  
Тбилиси, ул. Ленина, 14.

0744—038

M ————— 86—74

M—606 (02)—74



\* \* \*

ვთქვათ, დღე დაუდგა ლეოპარდს ავი, —  
 კლდის შეიფარებს ნაპრალი შავი,  
 მე ჩემს მეგობარს შევეფარები —  
 ღმერთო, მიცოცხლე  
 მეგობრის თავი!

თუმც კი გეიშას, ჭივაზედ რომ შეგშლის,  
 სამშვენისები ცხრა უდგას ვერცხლის,  
 რის სამშვენისი, რა სამშვენისი,  
 რის ოქრო-ვერცხლი  
 მეგობარს შეცვლის!

საგვარეულო წიგნი აქვს ბარონს,  
 ჩიტს ფრთები აქვს და იმ ფრთებით ხარობს,  
 მე — მექსიკაში მყავს მეგობარი,  
 ეს, ჩემი გული —  
 მეგობარს კმარობს!

ბატონ პრეზიდენტს აქვს მამულები,  
ყოვლი სიკეთით სავსე რომ არტერიანები  
აქვს სრა-სასახლე, ჰყავს მსახურები,  
ჩემი სჯობს მისას —  
მყავს მეგობარი!



\* \* \*

ესპანეთს არაგონია,  
აქაც ის არი — გულში!  
გულშია იგი — ლომებრი,  
მხნე, მამაცი და ურჩი.

იტყვიან: ქედუხრელობა  
და სიმხნე ტურფა მხარის  
ვით ჩაეტია ერთ გულში,  
ანუ რა გული არის?!

ესპანეთს არაგონია,  
არაგონია — გულში,  
ვისაც ეს არა ჰერნია,  
მინდა მას ვუთხრა ყურში:

ჰყვაოდა ტურფა ხეობა,  
თვისი სიტურფით მკლავდა,  
იქ შემიყვარდა მე ქალი,  
იქ მეგობარიც მყავდა.



იქ, ხეობაში ხალხია  
ფხიზლად გარს უვლის მიწატებულება  
ეთამაშება სიკვდილს  
და თავის რწმენას იცავს.

თუ გული კისერში მოჰყავს  
თვითრჯულ, თავნება მეფეს  
და თუ ბაჟს მეფის კაცები  
მთლად უნამუსოდ კრეფენ.

თოფს ხელს დასტაცებს ბატურრო,  
მტერს იარაღით ხვდება  
და ნამუსიან ბრძოლაში  
ნამუსიანად კვდება.

მიყვარს მტვრიანი მთა-ბარი,  
ებრი — მღვრიე და ურჩი,  
პადილია და ლანუსა  
და პილიარი ლურჯი.

გინდ ესპანეთში ყოფილა  
და გინდ კარიბის პირას,

ის მიყვარს, ვინაც ტახტიდან  
დააყირავებს ტირანს... 

მიყვარს ჭიშკარზე ჩუქურთმა,  
ეზო ჩეროთი სავსე,  
ნავთსაყუდართან გემები,  
შორს მონასტერი მთაზე.

ვერ დავივიწყებ ვერასდროს,  
ზედ ვაწერ გულის ფიცარს  
არაგონს, მიწას ესპანურს,  
ჭრელ, ყვავილოვან მიწას,

საღაც ყარიბად მივლია,  
ჭაბუკი ვიყავ საღაც,  
საღაც ცხოვრების ყვავილმა  
გაშლა  
პირველად სცადა.



\* \* \*

### ტირანზე ამბობ?

კი, ბატონო, ზიზღით დათვერი,  
აგინე, თათხე,

არ გამოგრჩეს რამე ტირანზე!  
მონის, ჩაგრულის

მძვინვარებით თქვი ყველაფერი,  
სამარცხვინო ბოძს

გააკარი, თუნდაც ყირაზე!

### ტყუილზე ამბობ?

ქვემძრომობა რომელსაც ჰქვებავს?!  
მის სიმუხთლეზე,

სიმდაბლეზე, ჩუმად მტრობაზე?  
თქვი, კი, ბატონო,

თქვი ტყუილზე, რამდენიც გნებავს,  
თქვი ყველაფერი

ტყუილზე და უმართლობაზე!



ეროვნული

ბიბლიოთეკა

რაო, ქალზე თქვი?

მოწამლული რომც იყო ქალის მიტოვებული

და გაცვლილიც რომ იყო სხვაზე,  
არ გამოიჭრა,

არ გამომჭრა კისერი დანით,  
მოკვდი და სიტყვა

არ წამოგცდეს აუგად ქალზე!



იქ, საღაც სისხლისფერია  
მთებში დაისი ქოხთან,  
ეს სიზმარივით ზღაპარი  
სინამდვილეში მოხდა:  
გვატემალელი გოგონა  
სიყვარულისგან მოკვდა.

თეთრი შროშნები უბეში,  
ლურჯი ზამბახი გვერდით...  
წევს აბრეშუმის კუბოში,  
ვემშვიდობები სევდით...

...დიდხანს ელოდა დანიშნულ  
სატრფო ნაზი და კოხტა,  
ვაჟმა გასცვალა სხვაში და  
ის — სიყვარულით მოკვდა.



ჭირისუფლები მღვდელმთავარს  
ამოსდგომიან მხარში,  
მიცურავს კუბო ხალხის და  
ჭრელი ყვავილის ზღვაში.

...შინ ვაჟი ცოლით დაბრუნდა,  
ქალს — გულში ტყვიად მოხვდა,  
ეწვია, ნახა, დარწმუნდა  
და... სიყვარულით მოკვდა.

...ვკოცნი გაყინულ წარბ-წამწამს,  
ვაი, რა ფრთხილად ვკოცნი!  
ვაი, რარიგად მიყვარდა  
იგი — ტურთა და ნორჩი!

...დილით იპოვეს იქ, სადაც  
მდინარე ტინებს ლოკდა,  
თქვეს: გაცივდაო! — ო, არა,  
ის — სიყვარულით მოკვდა.

სალამოს მწუხარში საფლავთან  
მიჭვრეტენ მგლოვიარეს. —



თეთრ ქოშებს როგორ ვუკონტი  
კუბოში მწოლიარეს... ბაზარითია

...როცა დაეშვა ჯანღი  
და მოსახლენი მოხდა,  
დავემშვიდობე გოგონას,  
ვინც სიყვარულით მოკვდა.



## კუბა ჟვავილებში

თქვენ არ გაჭინებით,  
ო, იებო, ყვავილნო მინდვრის,  
მიგიღეთ, როცა  
უცხო ცისქვეშ ვიყავ ყარიბად...  
თქვენ დამიბრუნეთ  
მე სამშობლო, ვფიცავარ სინდისს,  
და ჩემს ხსოვნაში  
თქვენ ჭინობა ვერ შეგეპარებათ!



## ორი სამშობლო

ორი სამშობლო მაქვს ბოძებული:

პირველი — კუბა, მეორე — ღამე.

ან, იქნებ, ერთში ორთავეს ვხედავ,

იქნებ ერთია — ღამე და კუბა!

როგორც კი ცაში ოქროს ტახტიდან

გადმოაყენებს მზე დიდებული,

გადმოაბრძანებს თვის ბრწყინვალებას, —

ვითარცა ტურფა ქვრივი მწუხარე,

პირშებურვილი შავი ვუალით,

უტყვი, უთქმელი და თავდახრილი,

ამელანდება მიხაკით ხელში,

ალიმართება ჩემს თვალშინ კუბა.

მთრთოლვარე ხელში ვცნობ უცხო ყვავილს,

მეწამულ ყვავილს — სისხლისფერ მიხაკს —

და გულის ნაცვლად ანაზღად მკერდში

ვგრძნობ ყრუ, საოცარ სიცალიერეს.



ეროვნული  
მინისტრი

დროა დავტოვო ქვეყნიერება!

ზედგამოჭრილი არის ეს ღამე

„მშვიდობით!“ — ერთი სიტყვის ცეკვაშელია,

ოლონდ შუქია ხელისშემშლელი,

შიგდაშიგ შუქი და კაცთა ხმები...

მაგრამ უეცრად, თითქოს დროშაა,

რომელიც მარად ბრძოლისკენ მიხმობს,

აბრიალდება აისი წითლად.

ფანჯარა! უმალ საჩქაროდ ვაღებ!

ვიწროა ბინა, ვეღარ ვეტევი.

სისხლისფერ მიხაკს მიგლეჭ-მოგლეჭს,

როგორც ღრუბელი ცისკიდურს ავსებს,

ჩაივლის ჩემს წინ მდუმარე ქვრივი —

კუბა —

პირველი სამშობლო ჩემი!

2. ხოსე მარტი.





ჩემი კაგლერო მასულითობა

დილ-დილობით ჩემი ბიჭი,  
 მკვირცხლი ბიჭი, ფიცხი ბიჭი,  
 ჩემი კაბალერო,  
 დიდი კოცნით მაღვიძებლა —  
 ლბილი კოცნით, თბილი კოცნით —  
 ჩემი კაბალერო!

მკერდზე გადამაჯდებოდა,  
 ილვირივით დასწვდებოდა  
 ჩემს თმებს კაბალერო!  
 სიხარულით დათვრებოდა,  
 თან დეზს მცემდა, თან მლეროდა:  
 „აჩუ! აბა რერო! —

დეზი ისე ლბილი ჰქონდა,  
 ფეხი ისე ტკბილი ჰქონდა,  
 ვაი, საყვარელო!

რანაირად ხარხარებდა,  
 რანაირად მახარებდა  
 ჩემი კაბალერო!

რანაირად იცინოდა,  
 რანაირად ვბავშვდებოდი,  
 ახლაც ყურში ჩამწკრიალებ  
 იმ სიცილის ექოვ!  
 ტუჩზე ერთად თავსდებოდით,  
 ერთ კოცნაში თავსდებოდით  
 კაბალეროს ორო თოთო  
 ტიტლიკანა ფეხო!



## ფრთხოსანი თასი

ვინ, ვინ დამასწრო, ვინ ნახა თასი,  
რომელმა ნახა ფრთხოსანი თასი?  
ვინ დამასწრო და რომელმა ნახა  
გასაოცარი ფრთხოსანი თასი?  
მე გუშინ ვნახე ფრთხოსანი თასი,  
წმიდათაწმიდა რამ ჯილდოს მსგავსი;  
ფრთა გაშალა და ის იყო, უნდა  
აფრენილიყო ამაყალ ცაში,  
მე დავაკონე მას ბაგე მაშინ,  
წამით შეყოვნდა ზეციურ გზაზე...  
ო, შენი კოცნა იყო ის თასი,  
გასაოცარი ნექტარით სავსე.

მახსოვს საღამო, გიშრის ნაწნავებს  
შლიდნენ ეს ჩემი თითები ნაზად,  
შენც უხვი იყავ იმ სიყვარულში  
და კოცნას კოცნით მიხდიდი ასად.



ჰაერი იყო სუფთა და წმინდა  
იმ სიყვარულის კვალად და მსგავს შენც მეხვეოდი იმ სიყვარულის,  
კარგო, პასუხად, ჭილდოდ და ფასად.  
შორს იყო ჩვენგან სამყარო ვრცელი,  
მისი ხმაური ჩვენს მიღმა დარჩა,  
არსად — იმისი შური და მტრობა,  
მისი ველური ყიჯინი არსად!  
თასი კი... თასი ცად მიფრინავდა,  
ცად მიიწევდა ფრთოსანი თასი  
და მასთან ერთად მეც ვლალდებოდი,  
მეც ვმალლდებოდი იისფერ ცაში.  
და ვსვამდი ხარბად საამო ნექტარს,  
სიცოცხლე იყო იმისი ფასი...  
ო, სიყვარულო, შენ ხარ სრულყოფა,  
შემოქმედების შენა ხარ არსი!..

იცის, რკინეულს გასჭედავს მხოლოდ,  
როცა მჭედელი რკინას ხელს ჰკიდებს,  
ოქრომჭედელსაც ერთი ნიჭი აქვს —  
ტვიფრავს ოქროზე ვარდებს და ჩიტებს,



წოლო შენ სხვა ხარ, ხარ ერთადერთფული  
ყოვლისმომცველი და მეტიც კილუპა:  
ო, სიყვარულო, შენი ნიჭია,  
რომ ერთი კოცნა სამყაროს იტევს!



## მაღიტინა ასპეიტიას

ო, მელიტინავ, დაო,  
თვლემენ ტყეები ბნელში  
და რა იქნება იყოს,  
მითხარ, იმაზე ტკბილი,  
ვიდრე — სინათლე ტევრში,  
მზის ჩამოხედვა ტევრში  
და დაბადება ტყეში  
პირმშვენიერი დილის?!

თავდაპირველად ტყე  
ზურმუხტია და სძინავს,  
რა გაიღვიძებს ტყე,  
თრთის, სიხარულით ღელავს,  
და ჰა, ამოდის მზე,  
ტყე ოქროსფერად ბრწყინავს,  
როგორც საყვირთა ჭლრდე  
ცეცხლმოდებული ელავს.



მზეა გასარკულ ცაში,

მზე ადგას კუბის კორლებულისათვა  
მოგორავს ოქროს ღისკო,

მოაფრქვევს ცეცხლის ჩანჩქერს;  
კუბა ულრანი ტყეა,

მზე მისწი-მოსწევს ფოთლებს,  
მზე მისწი-მოსწევს ტოტებს —  
კუბის ულრანებს ჩასცერს.

მაშინ შორეულ მთაზე,

ზედ ცისკიდურთან, მაღლა,

ზედ ცის გუმბათქვეშ, მაღლა,

სიტყვა ეძლევა საყვირს,

და სჭექს მხნეობის წამლად

საყვირი იგი ახლა

და იმეორებს ტევრი

ოქროს საყვირის ძახილს.

ჩემი კუბაა — ეს ტყე,

ეს მოღუშული ტევრი,

ეს სევდიანი ტევრი,

მწუხრის ბინდი რომ მოსავს,

მაგრამ თენდება უკვე,  
 მოვა სინათლე ბევრი,  
 გზემ შეაწითლა ზეცა,  
 პირველი სხივი მოჩანს.

ხოლო კუბა თუ ტყეა,  
 მაშინ შენი ხმა წმიდა,  
 შენი წკრიალა ხმა,  
 ო, მელიტინავ ჩემო,  
 ის საყვირია სწორედ,  
 რომ მოიჩქარის ციდან  
 და განთიადის მაცნედ  
 ტყე-ტყე წკრიალებს ქვემოთ.



\* \* \*

მწუხარებს სული მარტოეული,  
წუხს, რომ ერთი დღეც თვალს მიეფარა,  
დღე მიიწურა ღამით ძლეული,  
თვალს მიეფარა და გაგვეპარა.

ახლა საღამო გვპირდება მეჭლისს,  
ამბობენ, ვნახავთ მშვენებას ზღაპრულს,  
ცეკვას, რომელიც ჭიუაზე შეგვშლის,  
და მოცეკვავე ესპანელ ქალწულს.

აქ ტკაცუნობდა ფრონტონზე დროშა,  
კარგია, დროშა რომ აღარ მოჩანს.  
რომ არ მოეხსნათ ის დროშა მართლა,  
გავქვავდებოდი ბოლმისგან კართან.



აჰა, სტუმარი მობრძანდა ეტლით არავალი  
გალიციიდან, თქვეს, იგი გახლდათ; კი გამოიყენეთ  
ქედმაღალია, ფერმკრთალი, თეთრი,  
სიცრუე —

ციდან დაეშვა ნაღდად.

წითელი პლაშჩი, ამაყი თავი,  
ტორეადორის ბერეტი თავზე;  
ჰვავს ის ლევკოს, საოცარ ყვავილს,  
ქალწული ტურფა და ეშხით სავსე.

გამოკრთა წარბი ხმალივით მჭრელი,  
დიაცის მზერა ვნებამ დანისლა,  
გულს ცეცხლი ეცა — მარტივით ჭრელი  
და ცვალებადი მავრის ქალისა.

სიმებს აწყობენ, ჩააჭრეს შუქი  
და ჰა, მუსიკის ირგვლივ ქარია...  
ანდალუზიურ ქარიშხალს ცეკვავს  
ქალი კი არა,  
წმიდა მარიამ.

გაშალა ხელი, მოშვილდა მკლავი  
გადააქნია ამაყაღ თავი, ბიბლიოთეკა  
ბეჭზე მოიგდო მოხდენით შალი  
და როკვით დასძრა ვნებათა ზვავი.

როკავს და ქუსლით კეპავს იატაკს  
და დაუნდობლად თავისას ითხოვს,  
ეშაფოტია ეგ იატაკი —  
კაცთა გულებით ფენილი თითქოს.

ნათდება უინით თვალები ქალის,  
თვალებში შუქი ენთება ლხენით  
და შავ-წითელი ფოჩები შალის  
დაჰქრის და ქალწულს დაჰყვება ფრენით.

სცენის სილრმისკენ ისკუპა უცბად,  
წელში გადატყდეს ლამის ქალწული, —  
და ცეცხლოვანი შალიდან უმალ  
კვლავ გამოცურდა თეთრად ჩაცმული.

გადაპობია დაქანცულს ბაგე  
და სანთელივით ნელინელ ქრება;



მისუსტდა, დაცხრა და იატაკზე

ქუსლის კაკუნიც თანდათან ცხრებოდა მართვა

დასწვდა, მოხვეტავს იატაკს შალი,

კვლავ მოიხურა ბეჭებზე ახლად,

თვალმიხუჭული და ეშეით მთვრალი

ნიავქარივით სცენიდან გაქრა...

ოჰ, წარმტაცია ქალწულის ქროლა

და ცაში ფრენა, შენი კვნესამე...

მაგრამ დაცხრი და გაბრუნდი, სულო,

და შენს კუთხეში

შენთვის ეწამე!



## ხმას არ გავიღებ

ვიქნები ჩემთვის,  
ვიქნები ჩუმად,  
ჰო, ჩემთვის ჩუმად!  
ხმას არ გავიღებ!  
დე, ნუვინ იცის,  
რომ ისევ ვსუნთქავ,  
ნუ იცის მხარემ,  
რომ მისთვის ვკვდები!  
მე მხოლოდ მისთვის  
ვცხოვრობ ამ ქვეყნად,  
რომ ველი საათს,  
როცა შევიძლებ  
მოვემსახურო  
საყვარელ კუბას...  
მე ვკვდები ჩუმად  
და მომაკვდავი

ვემსახურები  
 სამშობლო მხარეს  
 ათასჯერ უკეთ,  
 ვიდრე ცოცხალი, —  
 ვისი ცდა არის  
 მოსძებნოს ხერხი,  
 თუ ვით უკეთ  
 თვისი მამული  
 მიართვას მსხვერპლად  
 საძულველ მომხდურს,  
 განართხოს მტვერში  
 დუშმანის ფერხთით.

\* \*

როცა გმირები მიღენიდნენ  
 მტერს მამულიდან,  
 როცა გმირები მტერს გაქცეულს  
 კვალდაკვალ სდევდნენ,  
 წმინდა ქვრივებო, წმინდა ტაძრებში  
 წმინდა ფსალმუნთა გალობითა  
 და მოთმინებით



თქვენ შეიძელით  
ლუკმა პური გეშოვათ წმიდანის

და გაუზარდეთ  
ობლები გმირებს...

ვისაც არ ახსოვს ეს ამბავი —  
არამზადაა!

მაგრამ ათასჯერ არამზადა  
უფრო ის არის,

ვინც თავის მამულს  
გადამთიელს დღეს ხელში აძლევს.

\* \* \*

ცხოვრება — ხან ტკბილი, ხან მწარეა,  
აუაყანებული ბაზარია;  
ბაზარში ჭაბუკისთვის მზემ გამოაშუქა  
და ცრემლი — მარგალიტი აჩუქა.

დიდხანს დარჯობდა  
თრთოლვით და კანკალით,  
დიდხანს არ ხარჯავდა საოცარ მარგალიტს,  
მაგრამ სიყვარულის ამოტყდა ჭარბუქი  
და გამოეთხოვა მარგალიტს ჭაბუკი.

და ზღვაში ჩაუვარდა ცრემლი—მარგალიტი  
და ტალღამ ჩაყლაპა ცრემლი—მარგალიტი  
და ჭაბუკს სინანულმა გულში გაურბინა —  
მარგალიტს ამოღება დაუპირა...

მაგრამ ზღვამ მიუგო ხარხარით:  
„შენი მარგალიტი აქ არის,  
აწ ვერცა ამას დაიბრუნებ,  
ვერც ახალს იშოვი მარგალიტს!“



## ჩემი უფლისწული

სპარსელებს მბრძანებლად  
შაჰი ჰყავთ გოროზი,  
ბნელ ჰუნებს მბრძანებლად  
მეფე ჰყავთ ზვიადი,  
იბერიელებს მეფე ჰყავთ ზრდილი,  
ხოლო საერთოდ —  
ყვითელი მეფე,  
ყვითელი ღმერთი, ყვითელი ოქრო  
მბრძანებელია ადამიანი!  
უბედურია ძე ადამისა  
და მისი მოდგმა მბრძანებელთ ხელში!  
მე სულ სხვა პრინცის შევიქენ მონა,  
მე სულ სხვა პრინცის ვასალი გავხდი:  
ის ფუნჩულაა, მკირცხლი და ანცი,  
ტიტლიკანა და ჩამრგვალებული;



ის, საყვარელი, კოცნით მავსებს და  
სამაგიეროდ ხარკსა თხოულობს,  
სიყვარულს,  
ზრუნვას  
და მოფერებას!..

ო, შვილო, ჩემო, შენ ხარ ის პრინც!  
ო, პირმშოვ ჩემო, სადაც წახვიდე,  
ვით მბრძანებელმა გარდასულ დროთა;  
აწ ნანგრევებად შთენილ ქალაქთა,  
გადაშენებულ მოღგმათა, ტომთა,  
თან წარმიტანე მშობელი მამა,  
სადაც წახვიდე, მიახლე თანა,  
მიახლე, დაე, შემეხოს ხშირად  
ეგ შენი მძლავრი სამეფო კვერთხი.  
დაე, ერთგული შენი მსახური  
შენი მირონით ვიქნე ცხებული,  
ო, უფლისწულო!  
დავრჩები სანდო ფარად შვილისთვის,  
არ შევუდრკები ცხოვრების მორევს,  
მკერდით დავხვდები ტალღების გრიალს,

მოვკვდები,  
 მაგრამ გაგიყვან გზაზე!  
 მაგრამ თუ, შვილო, ყვითელი ჭოჭო,  
 ყვითელი მეფე ღმერთად იწამე  
 და მეუფება შენც სცანი მისი,  
 მაშინ

სჯობს მოკვდე შენც ჩემთან ერთად!  
 ბიწიერებას, ჭუჭყს, სიბინძურეს  
 უდგე მსახურად შენ, ჩემი შვილი?  
 არა,  
 არა ღირს სიცოცხლე მაშინ!

\* \* \*

თეთრი ანაგვირილები  
გორა-გორა ჰყვავიან,  
ქვეყნად გაზაფხულია და  
მზის სხივების ხვავია.

იქ, სად მდელო შარიშურობს  
და რძისფერი ველია,  
საროსტანა დანიშნულებს  
ჭაბუკები ელიან.

შეფრთხიალდნენ ოლე-ოლე,  
ფრთა გაშალეს ჩიტებმა,  
გაზაფხულს და კაცის იმედს  
უგალობენ დიდებას;  
გასცემიან მინდვრის ბილიკს,  
რათა თეთრად ჩაცმულებს  
თვალი თავის დროზე მოჰკრან  
საპატარძლო ქალწულებს.



ჩრდილში მიეშურებიან,  
ჰა, ღაწყვილდნენ წყვილებრივი გარეთ  
ჩურჩულებენ ალერსით და  
თავს ახურავთ ჩრდილები.  
ერთურთს რას არ ჰპირდებიან,  
სცილდებიან დროებით,  
მეტის ლხენით შეხვდებიან  
გაისს საბედოები...

მხოლოდ იმ ერთს,  
მხოლოდ იმ ერთს,  
შავგვრემანს და ეშხიანს,  
ჭაბუკს, ტკბილად რომ იცინის  
და თვალებში ცეცხლი აქვს,  
ვინ, ვინ იცის, რომ ოცნება  
მას არ აუსრულდება:  
წავა, სატრფოს ვერასოდეს  
ვეღარ დაუბრუნდება.

## კეთილო პედრო!

კეთილო პედრო!

კმაყოფილი არა ხარ ჩემით

შენ იმის გამო,

რომ დავდივარ გაუპარსავი

და, წინააღმდეგ

საზოგადოდ არსებულ წესის,

მხრებამდე მწვდება

გაშვებული უწესოდ თმები.

ვერაგ ჩრდილოეთს

უსაქმური აგლიხარ ლეში,

მოყირჭებული

ვაქვს ყოველი სიამე ხორცის,

გარს გახვევია

გამომთვრალი ხასები, პედრო,

და უდარდელად

ასწევ ხოლმე დროდადრო ჭიქას,



მაგრამ შიგ

არა მათრობელა პუნში ქაფის და უძველესი კულტურული  
არამედ ოფლი,

სისხლთან ერთად, შენი მონების!

ვარ უთვისტომო,

ვარ უთქმელი და ფერმიხდილი,  
ჩემი ვახშამი —

გახლავს პურის ნატეხი ხმელი  
და გულს მიმძიმებს

ერთადერთი ზრუნვა და ფიქრი:  
თუ როგორ, რა გზით

მონობისგან ვიხსნა მაშვრალი,  
ხოლო შენ —

შენი უსირცხვილო უქმად გდებისგან.  
გამოგიტყდები

გულახდილად

და გეტყვი, პედრო,

არ გამაჩნია

ამ სულს იქით გროში — კაპიკი, —  
ოფლიან ხელში

დაუდევრად ჩავუდო დალაქს.



## 10 ოქტომბერი

ახლა ოცნება,

აღსდგა ჩემი სამშობლო მხარე,  
მშობელი კუბა,

მისი ხალხი ქედგაუხრელი;

სამას წელიწადს

დამპყრობელის გვედგა უღელი,

სამას წელიწადს

ვიტანჯეთ და ცრემლები ვღვარეთ.

შორს, ესკამბრიის

ჭიუხებში ბრძოლაა ცხარე,

წყალუხვ, ჭალარა

კაუტომდე ისმის ჭუხილი,

ცახცახებს მტერი,

უსაზღვროა მისი წუხილი,

თავსლაფლასხმული,

შერცხვენილი ქვითინებს მწარედ.



ძალმომრეობის

დასამარდა დიდება ძველი მწერლები  
ახალ ბრძოლებში

წილად ერგო სირცხვილი მწველი —  
და ჰა, მონობის

საძულველი დაემხნენ ბჭენი.

მილეწ-მოლეწა

ბორკილები, განფანტა ჯანლი,  
თავისუფლების

გზას დაადგა მშობელი ხალხი —  
ახდა, აღსრულდა

უწმინდესი ოცნება ჩვენი!





ଓଡିଶା ଲେଖକ  
ଅଧିକାରୀ

ପଦ୍ମବୀ

(ଲୋକାଥା ଲେଖକ ପତ୍ର)

## მოქმედი პირნი

აბდალა.

ესპირტა, აბდალას დედა.

ელმირა, აბდალას და.

სენატორი.

მრჩეველნი, მეომარნი და სხვანი.

მოქმედება სწარმოებს ნუბიაში

## გამოსვლა I

### სენატორი

ღირსო ბელადო! ტირანი გულეჭა  
 უახლოვდება ჩვენს მშობელ ქალაქს,  
 გვიახლოვდება და გვემუქრება,  
 რომ, თუ არ დავყრით  
 უსიტყვოდ ფარ-ხმალს,  
 მყის ნაცრად აქცევს ქალაქის კედლებს,  
 გვითვლის —  
 ქვას ქვაზე აღარ დატოვებს.  
 მოქრის არაბულ ფეხმარ ცხენებზე  
 ამხედრებული მისი ლაშქარი,  
 გააფთრებული მისი რაზმები  
 ჩვენს დასალაშქრად მოიჩქარიან.  
 უმრავლეს ქვიშის ხალხი ჰყავს ტირანს,  
 აღურიცხველი პრიალებს შუბი  
 და შემხედვარე შუბების ტევრის  
 თვით ძალა მძლავრი  
 თრთის და კანკალებს.



ველად უთვლელი კარავი დასცა,  
ქალაქის კართან ბანაკობს მტერილი გარება  
და თავგასული გვითვლის ამაყად:  
დავნებდეთ,  
ვეყმოთ საძულველ ტირანს  
და ვცნოთ უსაზღვრო ძალაუფლება  
ჩვენ მისი ყველგან და ყველაფერზე —  
ცეცხლთა ცხოველთა, ჰაერთა, წყალთა,  
და ხმელთა ზედა.

### ა ბ დ ა ლ ა

მაშ, შეუთვალეთ, რომ ერთ ნუბიურ  
მახვილზე, ვეჭვობ, მას ოცი ეყოს!  
სცადოს ჰაერზე გაბატონება,  
დაეპატრონოს ნუბიურ ჰაერს!  
ცეცხლი კერაზე თვითონ გვინთია,  
ცეცხლი კერისთვის გვჭირდება თვითონ!  
ძვირად ვაფასებთ ნუბიურ მიწას,  
მისი ფასია —  
წითელი სისხლი!

ხოლო წყალი კი... ჩვენს მდინარეებს  
ის მიუმატებს  
საკუთარ ცრემლებს!

## ს ე ნ ა ტ ო რ ი

ჰოი, მამაცო მხედარო, გირჩევ,  
უმჯობესია დამშვიდდე, დაცხრე.  
გადამთიელის კადნიერებას,  
მედიდურობას და გულზვავობას  
დახვდა ნუბის ხალხი ამაყაღ  
და საკადრისი გასცა პასუხი.  
მაგრამ მუქარაც ბარბაროსისა  
არ დარჩენილა ცარიელ სიტყვაღ,  
ესეც იცოდეთ, მომხვდური უკვე  
დაეპატრონა ნუბის სოფლებს,  
ურცხვი, მუხთალი და ულმობელი  
ქალაქის კართან ბანაკობს მტერი.

## ა ბ ლ ა ლ ა

რაო, ეგ რა თქვი?

ჰოი, ბელადო

და წინამძღვარო ნუბიის ლაშქრის,

შენც უწყი, წყდება მამულის ბედი,

შენც უწყი, დგება მრისხანე უამი:

დე, აღიმართოს შუბები მაღლა,

დე, აღიმართოს

დე, აფრიალდეს დროშები ცაში!

გასწი, აბდალავ,

იცოდე კარგად,

უნდა დააცხროს სამშობლომ მტერი

და მისი სისხლი ანთხიოს ველად

დე, სპარტასავით აღსდგეს ნუბია!

ჰოი, აბდალავ;

მოვსულვარ მისთვის,

რომ დაგავალო ხალხის სახელით.

გულქვა ტირანზე შურისძიება;

დაძრულა იგი მშობელი ხალხის,

ნუბიის ხალხის ამოსაწყვეტად;

მოვსულვარ, გთხოვო მამაც ნუბიელს,

უსირდლო ველად შამულის ლომებს,  
წარუძღვე ომში  
სამშობლოს ლაშქარს.



## ა ბ დ ა ლ ა

მე თანახმა ვარ.

— ქვა უნდა ჰქონდეს  
კაცს გულის ნაცვლად, — გითხრას უარი.  
მწამს, მომყვებიან გმირი სარდლები,  
უმამაცესნი მამაცთა შორის.  
ხელყო ნუბია მხეცმა ტირანმა,  
ხალხს შეუგინა თავისუფლება  
და ბრძოლის ველზე ჩვენ გავსწორდებით!  
ვინც ნუბიაში დაბადებულა,  
ის ნუბიისთვის სიკვდილსაც შეძლებს,  
მოვკვდებით მისთვის მამულიშვილნი.  
უკანასკნელი წვეთი სისხლისა  
და ამოსუნთქვაც უკანასკნელი,  
ეს ჩვენი სიმხნე, ეს ჩვენი ძალა,  
ჩვენი სიცოცხლეც —  
მხოლოდ ნუბიას!

ხალხს გადაეცით: ბრძანებს მამული,  
მაშ, გადავეშვათ მხარდამხარ კრისტენები  
ტირანს აცნობეთ:  
რა დროს ძილია,  
დარაზმოს ხალხი,  
ფეროს მახვილი,  
აალაპლაპოს შუბები მზეზე..  
მაგრამ ახსოვდეს, რომ მზეზე მეტად  
ჩახჩახებს ქვეყნად, ბრწყინვას, ანთია  
თავისუფალი და მძლავრი გული!

### ს ე ნ ა ტ ო რ ი

მამაცო! შენით ამაყობს ხალხი,  
ხარობს მამული!

### ყ ვ ე ლ ა ნ ი

ვაშა აბდალას!

(სენატორები და მრჩევლები გადიან).

## გამოსვლა II

### აბდალა

ო, დაპკრა უამმა! ბოლოს და ბოლოს  
დასწვდება ხელი, ჩაბღუჭავს მაჯა,  
ააპრიალებს ზეცაში მახვილს,  
და დაუნდობელ ბრძოლის გუგუნში  
გამაფრენს ცხენი მამულის მტრისკენ  
და შუბლს შეამკობს დიდების დაფნა!  
ვიხსხი სამშობლოს თავისუფლებას,  
ხალხს ავაშორებ მონობის უღელს.  
ავი ტირანი, მოსული სამტროდ,  
მუხლს დამიკოცნის, მთხოვს შებრალებას,  
ხოლო ლაჩარნი, ვინც შემწედ ჰყავდა,  
რა გვიხილავენ, თახსირნი სულით,  
დაემხობიან ჩემს ფერხთით კვნესით,  
მიწას დაპკრავენ გარეცხილ შუბლებს.  
და ველი იგი, სადაც ტირანი

გვიხმობს, გვიყივის,  
 საბრძოლოდ გვიწვევს,  
 შისი შერცხვენის გახდება მოწმე.  
 თავისუფლება შეარცხვენს მჩაგვრელს,  
 გაძოისყიდის ჩაგრული სირცხვილს.  
 დაბპყრობო ბილწო, შენი შერცხვენის  
 და ოღნასრულის ჩამოჰკრა უამმა,  
 ვერც შუქარით და ვერც ძლიერებით  
 ვერ აღუდგები ნუბიელთ სიმხნეს.  
 შოხა ნიადაგ იცილებს უღელს,  
 რა იშვებს,  
 შჩაგვრელს მისივ კვერთხს დაჰკრავს.

ათლო შენი განკითხვის უამი,  
 ძრჭოდე, ტირანო, არიდე მკერდი  
 შუბს თავისუფალ ნუბიელისა!  
 დაიძრა მტერი —  
 სისხლისმსმელ ვეფხვის  
 ღრენად ჩამესმის მისი ხმაური,  
 ვხედავ ბრძოლის ველს: გაჩქარებული  
 უახლოვდება ლაშქარი ლაშქარს,



აჰა, შეებნენ ერთურთს მძვინვარედ,  
მიწას ალბობენ სისხლის ღვარები  
მტაცებლურ ჟინით ტვინამღვრეული  
ისევ მოიწევს მომხდური ჩვენზე,  
მოიწევს ბრმად და გაბოროტებით,  
შეუშვერია შუბლი უგნურად  
წელში გახრილი ჩვენი ხმლებისთვის,  
აჰა, დაღლილან უკვე ძლეულნი,  
ვით პანტერები, ზომაზე ძლიერს  
რა შეებმიან ტრამალში ნადირს  
და ვერ სჯაბნიან, უღრენენ ავად,  
კვლავ მოიწევენ გაგულისებით  
თუმც გასთქრიალებთ სისხლი ხროტინით.  
ასევე, ძლეულ პანტერასავით,  
გააფთრებული მოიწევს მტერი,  
ძირს ენარცხება კვნესით, ხროტინით,  
ისევ და ისევ მყის ფეხზე დგება,  
რათა შეგვებას,  
და სულსა ლაფავს...  
თანამდგომელნი ბილწი ტირანის,  
მოკავშირენი გარბიან უკვე,



აჰა, ლაჩრულად გვიჩვენეს ზურგულებული  
აღტაცებული ზეიმობს სული, გასამართება  
აღვსებულია სიმხნით, სილალით  
და ჩემს ძარღვებში გამხნევებული,  
გახარებული ჩუხჩუხებს სისხლი...  
ო, რა მძიმეა ეს მოლოდინი!  
რარიგ მწყურია, ვეღირსო მალე  
და გადავეშვა მრისხანე ომში!



## გამოსვლა III

შემოდიან მეომრები. აბდალა და მეომრები.

მ ე ო მ ა რ ი

სალამი აბდალას!

ა ბ დ ა ლ ა

ჩემი სალამი მამაც მეომრებს!

მ ე ო მ ა რ ი

უკვე ჩამოჰკრა ბრძოლისა უამმა,  
ღირსეულ სარდალს ლაშქარი ელის,  
ფლოქვს სცემენ მიწას და ლაგამს კვნეტენ,  
ვერ ისვენებენ ფიცხი მერნები.  
ცეცხლი უნთიათ მეომრებს მკერდში  
და ხალხის გულში იმედი ჰყვავის.



თუ გამარჯვებით მოუხველ მამულს,  
შუბლს შეგიმოსავს უჭინობი და დაკარგი გადატევა  
თუ ბრძოლის ველზე დაეცი გმირი,  
მშობელ ხალხისთვის წამებულისას  
წმიდათაწმიდას  
დაგადგამს გვირგვინს.  
გახედე, ბრწყინავს ურიცხვი ფარი,  
შუბების ტევრი ლაპლაპებს მზეზე,  
ხალხის სახეზე სიმხნე, სილალე  
და გამარჯვების რწმენა სწერია.

### ა ბ დ ა ლ ა

თუ უყვარს ვაჟკაცს თვისი მამული,  
დაფნის გვირგვინი მას არ სჭირდება.  
შეყრილან ჯარად შავი ღრუბლები  
თავისუფალი ნუბიის ცაზე —  
მტერს დამონება ჩვენი სწადია.  
მაში, გადავეშვათ საჩქაროდ ომში  
და დავუმტკიცოთ საძულველ ტირანს,  
რომ მეომართა ჩვენთა მკლავები

უმტკიცესია ციხე-გოდოლთა,  
 რომ მეომართა ჩვენთა მკერდები  
 უმტკიცესია იმ თლილთა ქვათა,  
 რომელთა წყობით გვიშენებია  
 საკურთხევლები ჩვენ ნუბიისა.

მაშ, წინ, მამაცნო!  
 გავწიოთ ომში!

დე, თქრიალებდეს მტრის სისხლი ღვარად,  
 დე, მისმა ნახვამ გაგვიძლიეროს,  
 გაგვიასკეცოს მხნეობის ცეცხლი!  
 მაშ, ავეფაროთ სამშობლოს ფარად,  
 მტერს მივაგებოთ თავგასულს მკერდი!  
 ჩუ, გრიალებენ მტრის დაფლაფები,  
 იერიშისა ჩაპბერეს საყვირს.

ო, რა ზეიადად,  
 რა ზარ-ზეიმით

გრგვინავს ნაღარა შმაგი ტირანის!  
 მაშ, გადავეშვათ საჩქაროდ ომში!  
 დე, ჩახაჩუხით ნუბოურ ხმლების  
 ჩავაწყვეტინოთ ეგ თავგასული,  
 ეგ უტიფარი ხმები ნაღარას!

მაშ, წინ, მამაცნო!  
დიღებას თვისას  
არა, არ დათმობს სამშობლო მხარე!  
წინ, ჩვენი სიმხნე და სიმამაცე  
დაე ვაფაროთ ნუბიას ფარად!

(ყველანი გასასვლელს მიაშურებენ.)



## გამოსცლა IV

შემოდის ესპირტა, იგინივენი და ესპირტა.

ესპირტა

საღ მიიჩქარი, შეჩერდი, შვილო!

აბდალა

ო, არა, დედი, არ შემიძლია!

ესპირტა

შეჩერდი-მეოქი, შვილო აბდალა!

აბდალა

შევჩერდე? განა ვერ ხედავ, დედი,  
მიცდის მხედრობა, შფოთავს და ღელავს,  
განა ვერ ხედავ, მანდო ნუბიამ  
თვისი ბედი და თავისუფლება?!



განა ვერ ხედავ ელვარე შუბებს ართვალები  
და გამზადებულს საბრძოლოდ ჭრის კუთხების  
არ შემიძლია შევჩერდე, დედი,  
ომში მივდივარ, სამშობლო მიხმობს!

### ესპირტი

შეჩერდი-მეთქი! დედა ვარ, შვილო!

### აბდალი

ო, დედი, მე კი — ვარ ნუბიელი!  
ჩემი დედაა — თვითონ ნუბია,  
და ბედი მისი თავისუფლების  
ნუბიის ხალხმა მე ჩამაბარა.  
ჩვენს მშობელ მიწას გადამთიელმა  
ფეხი დაადგა — უსაზიზლრესი  
მოაქვს მონობა და დამცირება,  
თან გვემუქრება შუბების ტევრით,  
აბუჩად გვიგდებს ამპარტავანი.  
„ცუ“ ლირსება მავალებს, დედი,  
მაღალი ლმეროი მავალებს, დედი,



სამშობლოსათვის მოვკვდე კაცურად,  
მისი დაცემა და დამცირება გაგლიობითა  
რათა არ ნახოს ჩემმა თვალებმა.

### ე ს პ ი რ ტ ა

თუ ომში წასვლას ღირსება გავალებს,  
შენ შინ დარჩენას გავალებს დედა!

### ა ბ დ დ ა ლ ტ ა

ო, არა! მხოლოდ მეხის დაცემას,  
თუ ჩამიტანდა ქვესკნელში, ალბათ,  
შეეძლო შეცვლა ჩემი სიმტკიცის,  
და აღსრულდება, რაცა ვთქვი, დედო.  
იჩქარეთ ომში ძმანო მამაცნო,  
თავისუფლების მხედარნო მხნენო,  
გასწით, იარეთ —  
თქვენი სარდალი,  
თქვენი ბელადი თქვენთან იქნება!



## გამოსვლა V

(ესპირტა და აბდალა)

აბ დ ა ლ ა

ო, მაპატიე, რომ გტოვებ, დედი.  
მივდივარ ომში, ჩემი ცრემლები  
არის ნიშანი მამულზე სევდის,  
სულში საშინელ ქარიშხლის ქროლის.

(ესპირტა ტირის.)

ნუ სტირი, დედი, ჩემს სატანჯველად  
მარტოდენ ჩემი ცრემლებიც კმარა.  
ვერც მომაკვდავთა კვნესა-ვედრება  
და ვერც ფარ-შუბთა გრგვინვა-ჭახება  
ცრემლებს ვერ მოგვრის აბდალას თვალებს



და არ შედოკება აბდალას გული.  
თუნდ მომიტანონ საკაცით სახლში, მომავალი  
თუნდა ვერც მიცნონ ბრძოლის გუგუსში  
აჩეხილი და ქვე დამხობილი,  
ჩემთვის ერთია,  
ოღონდ ვიცოდე,  
რომ ჩემი სისხლით ვიხსენ მამული  
და ჩემს შემდგომად ნუბიას ჩემსას  
არ ემუქრება მონობის ხუნდი.  
გულს შენი ცქერა მიკაწრავს, დედი,  
და მეკუმშება შენს გამო გული,  
შენს გამო ვტირი, თორემ არ ცრემლებს  
არ დავანახებ მამულის მხედრებს!

### ესპირტი

მაინც, რა არის ტრფობა ესდენი  
და ერთგულება ნაგლეჭი მიწის?!  
რა არის მიწა?  
თქვი, იქნებ მართლა  
დედის მაგივრად ამ მიწამ გშობა,



იქნებ პატიას ის დაგზრუნვლა, ეროვნული  
ან, იქნებ, უნდა მას უმაღლოდებისამიერება  
მაგ სიმამაცეს, მაგ ძალს და ღონეს,  
სთქვი, ნუბიაა შენი მშობელი  
თუ დედამ გშობე?

### ა ბ დ ა ლ ა

მამულის ტრფობა —  
ნურავინ ჰგონებს,  
არ არის იგი მინდვრის, ბალახის,  
მიწის პატია ნაჭერის ტრფობა!  
მამულის ტრფობა —  
მძვინვარებაა  
სიძულვილისა მტარვალისადმი!  
ადამიანის გულში აღაგზნებს  
ის მოგონებათ სამყაროს ვრცეულს;  
სამყარო იგი გვიხმობს, გვეძახის,  
როს მოწამლული სისხლი კაეშნით  
გულს აგვიმღვრევს და სულს აგვიწეწავს.  
მამულის ტრფობა გვამშვიდებს მაშინ,  
გვამაღლებს იგი  
და გვანუგეშებს.

## ესპირტა



და ტრფობა იგი — შენი ჩემდამი,  
თქვი, სიყვარულზეც არის ძლიერი?

## აბდალა

ეგების ფიქრობ, რომ არის ქვეყნად,  
დედი, მამულზე რამ უმაღლესი?

## ესპირტა

დაე, მაღალი იყოს ეგ გრძნობა,  
თქვი, მაგ გრძნობისთვის დამტოვო უნდა  
და მიაშურო ბრძოლის ველს, შვილო?  
გადაივიწყო, ვინც გშობა ქვეყნად?  
ვინც მოგანიჭა სიცოცხლის ჯილდო?  
ამას გიბრძანებს მამული განა?!  
თქვი, არ გაშინებს  
სისხლი, სიკვდილი  
და საზარელი ომის გრიალი?

## ა ბ დ თ ლ ა



ვისაც მხურვალედ უყვარს მამულზეართება  
ვისაც მხურვალედ სურს მისი შველა,  
მას არც სიკვდილის არ ეშინია.  
თვალს გაუსწორებს მრისხანე ტირანს,  
მკერდს შეაგებებს საშიშროებას,  
დასათრგუნავად — მამულის მტერთა,  
თუ საჭიროა,  
სიცოცხლეს დათმობს  
და მხნედ წარდგება ის ცათა შინა.

## ე ს პ ი რ ტ ა

მაშ; მიხვალ, შვილო? მაშ, მტოვებ დედას?

## ა ბ დ ა ლ ა

არა, არ გტოვებ — ომში მივდივარ!

## ე ს პ ი რ ტ ა

ომში მიღიხარ? ო, შვილო ჩემრ!

(მუხლებზე ეცემა)



შეხედე, შვილო, შენს ბედკრულ დედაშვილია  
 მუხლზე დაცემულს და შენთვის მუხლზე დაცემულია  
 ფეხებს გიკოცნი და ცრემლით გილბობ,  
 ნუ, შვილო ჩემო;  
 ნუ მიმატოვებ!

ა ბ დ ა ლ ა

ო, აღექ, დედი, ნუ იზამ მაგას!

ე ს პ ი რ ტ ა

თუ სიყვარული გწამს მშობლიური,  
 ნუ წახვალ; შვილო, ნუ მიმატოვებ!

ა ბ დ ა ლ ა

ვით შემიძლია შინ დავრჩე, დედი,  
 როცა მეძახის სამშობლო ვალი  
 და შემომცქერის ნუბია მთელი?  
 როცა მოცული შიშით და ღელვით  
 კარს მაღვას ჩემი მშობელი ხალხი  
 და ჩემგან ოშში გაძლოლას ელის?



ო, არა, მხოლოდ მეხის დაცემას  
შეეძლო შეცვლა ჩემი სიმტკიცითავა  
და აღსრულდება,  
რაცა ვთქვი, დედი!

### ესპირტი

მაშ, დედას, შვილო,  
მუხლზე დაცემულს,  
შვილისთვის მლოცველს,  
შვილისთვის მტირალს,  
თვის სიყვარულის მაღალი მაღლით  
არ შესწევს ძალა, რომ შეგაჩეროს,  
გადაგარჩინოს პირმშო და გიხსნას?!

### აბდალი

ო, რა ცეცხლია, რა სატანჯველი!  
რა მწუხარება მინთია გულში!  
აქ — დედის ცრემლი  
მთხოვს შინ დარჩენას,  
იქ — განსაცდელში  
ნუბია მიხმობს...



მძევს დედის ვალიც და ნუბიისაც...  
ო, არა, არა! მე არ ვყოყმანობ,  
მშვიდობით, დედი, მივღივარ ომში,  
მივალ ნუბიის გაღასარჩენად!

(გადის.)



### ესპირტი

წავიდა, მიღის...

ვიცი, გრძნობს გული,  
დამისვენებენ ანაზღად ფერხთით,  
დამიბრუნებენ შვილის მაგივრად  
მის სისხლში მოთხვრილ აჩეხილ სხეულს...  
ო, რარიგ სევდით მიმზერდა იგი,  
ლოყით შევეხე საყვარელ ლოყას —  
ჩვენი ცრემლები ერთურთს ერთვოდა.  
რა ცივი იყო, რა ფერმიხდილი,  
რა საოცარი იმისი ლოყა!  
ცრემლი მდის ლვარად, ვტირი და ვკვნესი,  
ცუდს მიგრძნობს გული,  
თვალთ მიბნელდება.  
მაგრამ რა მაკრთობს,  
ან რა მატირებს?



ნუთუ ნუბიამ იმდენი ძალა,  
იმდენი სიმხნე ჩვენ ვერ შთაგვბერბჲაზურთევა  
რომ სიფრთხილისკენ მოვუხმობთ შვილებს,  
როცა ტირანი გვიოხრებს მამულს?  
ვთხოვთ შინ დარჩენას —  
ო, იქნებ ვლამობთ,  
დედობრივ გრძნობით მამულის გრძნობა  
ჩავჭლათ, დავჩრდილოთ შვილების გულში?  
ო, არა! მხოლოდ იმასა ვტირით,  
რომ სასიკვდილოდ ვისტუმრებთ შვილებს.  
ნუბიელები ვართ, რა თქმა უნდა,  
მაგრამ დედები ვრჩებით დედებად  
და გველანდება ბრძოლის გრუხუნში  
სისხლში მოთხვრილი ჩვენი შვილები...



## გამოსვლა VII

ე ლ მ ი რ ა

შენ სტირი, დედი?

ე ს პ ი რ ტ ა

მერე და გიყვირს?

ჩემი ვაჟკაცი, ჩემი მამაცი,

ჩემი აბდალა უკვე ომშია.

რომელი დედა არ ატირდება,

რა გააცილებს საყვარელ პირმშოს

ფიცხელ ომში და მარტო დარჩება?

ე ლ მ ი რ ა

დედაო მხნე და მამაცი შვილის,

დედაო გმირის, ნუბიის დედავ,

ცრემლი გასველებს ,შენი თვალები

შიშს, მწუხარებას,

ტკივილს ამხელენ.

მაშ, კმარა დედი! არ შვენის ცრემლი

ნუბიელ დედას, როცა ძე მისი

მიჰქერის მამულის გადასარჩენად!



მიყვარს აბდალა, ჩემზე ძლიერად  
არა, არ ძალუდთ დებს სიყვარული შეკრიცხული  
მავრამ მიმავალს სისხლიან ომში  
თვითონ მივართვი თვისი მახვილი,  
საკუთარ ხელით ჩავუდე ხელში,  
გადავკოცნე და ვუთხარ: „ნახვამდის!“  
შენ კი სტირიხარ, როდესაც შვილი,  
როდესაც გმირი ურჯულოს ებრძვის  
და ბრძოლის ველზე სახელს, ღირსებას  
და საუკუნო დიდებას იმკის.  
ო, დედი, გესმის ბრძოლის ყიუინა,  
წკრიალი ხმლისა,  
შუბთა ჯახება,  
გესმის დაფდაფთა ხმა დიდებული?  
რა სიხარულით გავცვლიდი, დედი,  
დიაცის სამოსს ჯაჭვის პერანგზე,  
ცხენზე,  
შუბზე და ფარ-მუზარადზე!

### ესპირტა

და შენც ძმის კვალად ომში გასწევდი,  
შენც გასწირავდი ოჯახს და კერას,

აბდალასავით მიმატოვებდი,

რომ მომკვდარიყავ მამულისათვის.

### ელმირა

ჰო, ერთ წუთსაც არ დავფიქრდებოდი!  
 შენ სტირი ისევ? ნუთუ ნაღარის  
 ხმა საოცარი შენ არ გიტაცებს?  
 ყურს არც კი აპყრობ გაოგნებული!  
 დიადი ბრძოლის გრგვინვა-გრუხუნი  
 ნუთუ არ სწვდება,  
 დედი, შენს სმენას?!..

(კარზე ბრახუნის ხმა ისმის.)  
 მაგრამ ჩუ, ეს რა ხმებია კართან?  
 რას ნიშნავს ეს ხმა? რა უნდა იყოს?

### ესპირტი

(კარისკენ მიიწევს.)

შვილო აბდალა!

## ე ლ მ ი რ ა

(შეაჩერებს.)

დაჩუმდი, დედი!  
 მეომარია, ალბათ, დაჭრილი,  
 შეჭირვებული კარს მოგვდგომია,  
 გვთხოვს დახმარებას, ვუშველოთ, დედი!  
 (ორივენი კარს მიაშურებენ)  
 მანდ რომელი ხარ? ვინ აკაკუნებს?

ხ მ ა

გაგვიღეთ კარი!





## გამოსვლა VIII

შემოდიან მეომრები დაჭრილი აბდალა  
შემოჰყავთ.

ესპირტი და ელმირა  
თავზარდაცემულნი)  
ვაი, აბდალა!  
(მეომრები შუაგულ სცენაზე დასვენებენ  
აბდალას.)

### აბდალა

ჰო, აბდალა ვარ!

აქა ვარ, დედი, მსასოვარმა  
რათა შენს ფეხთით დავლიო სული  
და მივაშურო ცათა ქვეყანას,  
სად არც ფარ-შუბთა არის ჯახება,  
არცა მახვილის ისმის წკრიალი.  
აქა ვარ, დედი, მსასოვარმა  
რათა შენს მკლავზე დავხუჭო თვალი.



მე ვკვდები, ხოლო ნუბია იბრძვის,  
 სისხლს ღვრიან ჩემი მამაცი მეტაზოოგვა  
 და იმედოვნებს დედა-სამშობლო,  
 რომ დავუბრუნებთ თავისუფლებას!  
 მაშ, ნუ აყოვნებ, ნუ სტირი, დედი,  
 გასწი ნუბიის დედებთან ერთად  
 და ბრძოლის ველზე გასძახეთ შვილებს,  
 თქვენ შთაგონეთ მათ მტერთა ძლევა:  
 „წინ, ნუბიელნო!  
 წინ, გამარჯვება!“

### ე ს პ ი რ ტ ა

რაო, ნუ ვსტირი, შენ ამბობ, შვილო?  
 რას მომცემს ისეთს სამშობლო შენი,  
 რა მიღირს შენი სიცოცხლის ფასად?

### ა ბ დ ა ლ ა

რომ ლირსეული იქნეს სიცოცხლე,  
 უნდა გამართლდეს სიცოცხლე ბრძოლით,  
 თუ საჭიროა, კაცურ სიკვდილით  
 და თვისტომისთვის თავის დადებით.

შაგრამ... ოჭ, ვკვდები... ჩუ, ჩუმად, დედო!..  
(ყველას) უკრაინული  
გაბლიურთვა

უკანასკნელ წუთს სიჩუმე მინდა,  
ნუ, ნუ დამირღვევთ ტკბილ მყუდროებას,  
მიუგდეთ ყურა!.. აჰა, მომესმის  
თავზარდაცემულ მომხვდურის გმინვა,  
შებრუნდა მტვერი და გარბის ველად;  
გესმით ნუბიელთ ლომური ვაშა —  
წამოეწიენ ტრამალში ლაჩრებს —  
ვძლიერ!

ვიმარჯვებთ!

გამარჯვებული

და შედნიერი გულმშვიდად ვკვდები;  
რაა სიკვდილი — მამული ვიხსენ,  
ვიხსენ სამშობლოს თავისუფლება.

ულამაზესი არის სიკვდილი,  
მამულისათვის როდესაც ვკვდებით!

(მეომართა მკლავებზე ეცემა.)

დასასრული





## შ ი ნ ა პ ა ს ტ

XXX (ვთქვათ, დღე დაუჭირ ლეოპარდს ავხ...)	5
XXX (ესპანეთს არაგონია...)	7
XXX (ტირანზე ამბობ?..)	10
XXX (იქ, სადაც სისხლისფერია...)	12
კუბა ყვავილებში	15
ორი სამშობლო	16
ჩემი კაბალერო	18
ფრთოსანი თასი	20
მელიტინა ასპეიტიას	23
XXX (მწუხარებს სული მარტინული...)	26
ხმას არ გავიღებ	30
XXX (ცხოვრება — ხან ტკბილი, ხან მწარეა...)	33
ჩემი უფლისწული	34
XXX (თეთრი ანაგვირილები გორა-გორა ჰყვავიან...)	31
ქმთილო ჰედრლ!	39
10 ოქტომბერი	41
აბდალა (დრამა ლექსად)	45



ХОСЕ МАРТИ  
КУБА В ЦВЕТАХ  
(лирика, драма в стихах)  
на грузинском языке

რედაქტორი მ. ვარდოსანიძე  
მხატვარი მ. ჭანიშვილი  
ტექრედაქტორი ნ. ხელაშვილი

გადაეცა წარმოებას 12/VII-74 წ.  
ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/VII-74 წ.  
ქაღალდის ზომა 84X108/64.  
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,25.  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,6.  
შეკვეთის № 2710  
ტირაჟი 7.000

ფასი 30 გაზ.

საქ. ქა ცე გამომცემლობის სტამბა  
თბილისი, ლენინის 14

Издательство ЦК КП Грузии  
Тбилиси 1974

10/6



საქართველოს

ეროვნული ბიблиოთეკი

673 12

9

17316